ოქმი:**ო63. 6324243001**
თარიღი:**30/08/2024**

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს**

**იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და**

**სამანდატო საკითხთა კომისიის**

**სხდომის**

**ო ქ მ ი N 14**

ქ.სამტრედია 29 აგვისტო. 2024 წელი.

მიმდინარე წლის 29 აგვისტოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, მაია ტალაბაძის თავმჯდომარეობით, ჩატარდა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის სხდომა.

**სხდომას ესწრებოდნენ:** მაია ტალაბაძე, მერაბ უღრელიძე, ლიზა კრავეიშვილი, პაატა, კოხრეიძე.

**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“_ს თავმჯდომარის, ემზარ შუბლაძის მოხსენებითი ბარათის განხილვა.

**/მომხსენებელი: მაია ტალაბაძე/**

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (4ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა (4 ხმით) დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

**<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u>** სხდომის თავმჯდომარემ, მაია

ტალაბაძემ კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“_ს თავმჯდომარის, ემზარ შუბლაძის მოხსენებითი ბარათი, საიდანაც ირკვევა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“_ს სხდომაზე განხილულ იქნა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, დავით ნიკოლეიშვილის განცხადება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

მოგახსენებთ, რომ საქართველოს ორგანული კანონის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, ფრაქცია უფლებამოსილია ჰყავდეს 2 (ორი) მოადგილე. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ დასახელებულ იქნა, ფრაქციის წევრი, ქეთევან კუტალაძე.

ფრაქციამ იმსჯელა და ერთხმად დაუჭირა მხარი სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, დავით ნიკოლეიშვილის გაწევრიანებას ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ში. ხოლო ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნას ფრაქციის წევრი, ქეთევან კუტალაძე.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს.

**მაია ტალაბაძე -** მოგახსენებთ, რომ კომისიის წევრი, დავით ნიკოლეიშვილი საპატიო მიზეზით ვერ ესწრება სხდომას, თუმცა ზემოაღნიშნულს ეთანხმება.

**დაადგინეს:** კენჭისყრის შედეგად იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა (4 ხმით) ეთანხმება ზემოაღნიშნულს.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

**სხდომის მდივანი: / ნათია დოლიძე/**

მაია ტალაბაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
იურიდიული, ადამიანის უფლებათა დაცვის,
საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია-
იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის,
საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი